PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ - კოლეჯი ფაზისის მიერ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე
წევრი:
ვალერი ჯაჯანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2020 წლის 01 ივნისს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარდგენილ იქნა განაცხადი სსიპ კოლეჯი ფაზისის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ დამატების შესახებ, რის საფუძველზეც ცენტრის დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N470440 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება; პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტი და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება და სხვა.

ვიზიტის ბოლოს განხორციელდა ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტისას გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია:

ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განსახორციელებლად შერჩეულ კანდიდატებს, გააზრებული აქვთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირების მიზნები, აქვთ გამოცდილება შესაბამისი საგნის სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, გამოთქვამენ მზაობას კოორდინირებულად იმუშაონ დარგის სპეციალისტებთან ერთად. თუმცა, არ იციან მოდულური სწავლების სპეციფიკა. კერძოდ, მოდულის სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერების მნიშვნელობა, შეფასების პრინციპები. სასურველია ამ მიმართულებით ჩაუტარდეთ ტრენინგი.

წინა ვიზიტისას გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა სამინისტროს წარმომადგენლის წერილი და ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირთა ტრენინგების საბოლოო შეფასებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ხარვეზები არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

განვითარების რეკომენდაციები:

4. სასურველია დაწესებულებამ განაახლოს დარგის შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა.

8. პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- სავალდებულო მოდულში „დამკვეთთან ურთიერთობა“ ამოსაღებია მოდულის ბოლოს არსებული შეუსაბამო ჩანაწერი:
  - „დანართი N2. სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსები;
  - დანართი N3. მოდულის განმახორციელებელი პირები (პროფესიული განათლების მასწავლებელი)“.

  შესაბამისად, სასურველია გასწორდეს პროგრამაში არსებული ტექნიკური ხარვეზი.
- ზოგიერთ მოდულში შეფასების მეთოდები და მტკიცებულებები შესაბამისობაში არაა ერთმანეთთან. შეფასების მეთოდად გათვალისწინებულია ზეპირი გამოკითხვა, ხოლო მტკიცებულებად - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება. შესაბამისად, სასურველია შეფასების მეთოდებსა და მტკიცებულებებში არსებული ტექნიკური უზუსტობები გასწორდეს.
- დაწესებულებას მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების პროგრამისთვის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს შპს მათე მოტორსთან, რომლის მიერ უზრუნველყოფილია პროგრამის კონცენტრაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

5 მოდულის განხორციელება, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა არ მოიცავს პარტნიორ ორგანიზაციათა ჩამონათვალში „შპს მათე მოტორსს“. შესაბამისად, სასურველია გასწორდეს პროგრამაში არსებული ტექნიკური უზუსტობა.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

განვითარების რეკომენდაციები:

3. პროფესიული მოდულის „ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები“ განმახორციელებლად წარმოდგენილია ინგლისური ენის სპეციალისტი, თუმცა სასურველია მოდულის განმახორციელებელმა ინგლისური ენის მოდული განახორციელოს პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირის/პროგრამის ხელმძღვანელის აქტიური კონსულტირებით, რადგან დარგობრივი ტერმინოლოგია მუდმივად ცვალებადია, ემატება ახალი ტერმინები და აქედან გამომდინარე, მათი სწავლება პროფესიული სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია.

4. დირექტორის ბრძანებით შიდა მხარდაჭერის ჯგუფში შემავალი პირები განსაზღვრული არიან პროგრამის ხელმძღვანელებად, რომლებსაც ევალებათ სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება და მეთოდოლოგიური კონსულტაციების გაწევა პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. თუმცა სასურველია პროგრამის ხელმძღვანელობა განისაზღვრებოდეს არა რომელიმე ჯგუფის წევრობით, არამედ პროგრამით, როგორც ეს დაწესებულებას დუალური პროგრამების ხელმძღვანელთა შემთხვევაში აქვს. შესაბამისად, დაწესებულებას ექნება ერთიანი მიდგომა პროგრამების ხელმძღვანელთა დამტკიცების შესახებ, თუმცა ასევე, შესაძლებელია დირექტორის მიერ გამოიცემოდეს ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ და არ მტკიცდებოდეს ის პროგრამასთან ერთად.

სასურველია, კალენდარული გეგმების შემუშავება მოდულის განმახორციელებელი პირის ვალდებულება იყოს და არა პროგრამის ხელმძღვანელის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

განვითარების რეკომენდაციები:

2. დაწესებულების რეგულაციით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების რეგულაციაში. კერძოდ: საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. დამსაქმებლიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება დაწესებულებას მისცემს საშუალებას დაადგინოს, თავად უნდა შეცვალოს პროგრამაში სწავლების მიდგომები, თუ უნდა მიმართოს ცენტრს ინიციატივით პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იმ შემთხვევაში თუ გაჩნდა ახალი უნარი ბაზარზე, რომელსაც მიმდინარე პროგრამა ვერ ფარავს). გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ აქვს უფლება შეიტანოს ცვლილება სწავლის შედეგებში, ასეთი ცვლილებების განხორციელებისათვის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ცენტრს. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულებამ აღმოაჩინა სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში, კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში ან შეფასების მიმართულებებში გარკვეული ტიპის უზუსტობები, სასურველია, მან მიმართოს ცენტრს დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით. აქედან გამომდინარე, სასურველია აღნიშნული საკითხები იკვეთებოდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

განვითარების რეკომენდაციები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. დაწესებულების მიერ სასწავლო გეგმის შემუშავებისას, სასურველია კონცენტრაციის მოდულებზე სწავლა არა პროგრამის ბოლოსკენ, არამედ უფრო ადრეულ კვირებში იწყებოდეს. პროგრამის პროფესიული მოდულები ძირითადად დაფუძნებულია თეორიაზე (შეფასების მიმართულება - გამოკითხვა), ხოლო პრაქტიკული კომპონენტი ჩადებულია კონცენტრაციის მოდულებში. შესაბამისად, სასურველია, პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ზრუნვა პროგრამის პარალელურად ხორციელდებოდეს.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გასაჩივრების წესი, რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება მაქსიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში. გასაჩივრების შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის მასწავლებლის მიერ, ან კომისიური წესით განხილვა/არ განხილვის თაობაზე. მასწავლებელი/კომისია 2 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და მიღებული გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების წესი“, რომელიც ასევე მოიცავს გასაჩვრების პროცედურას და ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის/შედეგების ვერდადასტურების შემთხვევა გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო გეგმაში. კერძოდ, წინმსწრები მოდულის დასრულებისა და მომდევნო მოდულის დაწყების თარიღებს შორის 1 კვირაა, რათა ამ პერიოდის განმავლობაში პროფესიულმა სტუდენტმა/სტუდენტებმა შეძლონ წინმსწრები მოდულის შედეგის/შედეგების დადასტურება. გასაჩივრების შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/არ განხილვის თაობაზე. კომისია 2 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და საკმარისი/ავთენტური მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშოს განმეორებით შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. აღნიშნული შემთხვევის დადგომის დროს, ზემოაღნიშნული ვადების გათვალისწინებით, ერთკვირიან ინტერვალში განმეორებითი შეფასების ჩატარება შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არ მოიცავს წინაპირობიან მოდულებს, სასურველია რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, ეს ორი რეგულაცია შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, ან ერთი და იგივე პროცედურები/წესი ორ დოკუმენტში არ გაერთიანდეს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციებით არ იქნას წარმოდგენილი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს განმეორებითი შეფასების ჩატარება, ან/და გასაჩივრების პროცესის დასრულება დაწესებულების მიერ წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის განსაზღრული ინტერვალის გათვალისწინებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

შესაბამისობის რეკომენდაციები:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით იკვეთება შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებით სწავლის შედეგების დადასტურების შესაძლებლობა, თუმცა სასურველია განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს, რამდენჯერ ეძლევა სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა და რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს (უკვე გამოყენებული თუ ახალი).
2. სასურველია ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულების რაოდენობა, არსებული რესურსი და სხვადასხვა რისკ-ფაქტორები, შემუშავდეს რისკების რეესტრი, რის საფუძველზეც მოხდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა შეიძლება იყოს. ასევე, რეგულაციით მკაფიოდ იკვეთებოდეს, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაზე პასუხისმგებელი პირები, არ მოახდენენ იმავე ინსტრუმენტებით შექმნილ მტკიცებულებათა ვერიფიკაციას, ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად. საბოლოოდ ვერიფიკაციის პროცესი სასურველია დასრულდეს ვერიფიკაციის დასკვნის შედგენითა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგით.

სასურველია რეგულაციაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა. ნაცვლად ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა, გაიწეროს ხარისხის მართვის მენეჯერი, რადგან შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის სტრუქტურასთან. ასევე, გაიწეროს, რომ ვერიფიკაციის ჯგუფი ახდენს მტკიცებულებათა ვერიფიკაციას და არა ვალიდაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2020 წლის 27 მაისის #01/37 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. #54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	12 პროფესიული სტუდენტი; ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. #54

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი, რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ინიციატივა წარედგინება კოლეჯის დირექტორს. პროგრამის დამატებისთვის საჭიროა პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის, მისიასთან თავსებადობის, კოლეჯის ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსების დადგენა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა. კოლეჯის დირექტორის მიერ, ამ მიზნით იქმნება ჯგუფი, რომელსაც ევალება შესაბამისი დასაბუთების შემუშავება. წარმოდგენილია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი, რომლითაც ირკვევა, რომ არსებობს მოთხოვნა მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შემკეთებლის და მსუბუქი ავტომობილის ძრავის შემკეთებელის პოზიციაზე. ამასთან, კოლეჯი წლების განმავლობაში ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ავტომობილების შეკეთების მიმართულებით (,,ავტომობილის შემკეთებელი ზეინკალი'', „ძრავის შემკეთებელი“ „სავალი ნაწილის შემკეთებელი“) და ბევრი კურსდამთავრებული ჰყავს. წარმატებული კურსდამთავრებულებიდან ზოგს საკუთარი ბიზნესიც აქვს, თავიანთი „ავტო სერვისები“, სადაც 2019 წლამდე (საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში) კოლეჯის პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ. ასევე, კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვისა და განხორციელების პროცესის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმით ირკვევა, რომ ჯგუფმა დაადგინა პროგრამების დამატების მიზანშეწონილობა, კოლეჯის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების შესაბამისობა და მისიასთან თავსებადობა. კერძოდ , სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მისიაა წვლილი შეიტანოს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, შესაბამისი კვალიფიციური და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების თვალსაზრისით. მისიიდან გამომდინარეობს კოლეჯის სტრატეგიული მიზანიც „პროფესიული პროგრამების მუდმივი განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სწავლის მსურველთა დაფარვისა და სწავლების ეფექტიანობის ზრდა“. შრომის ბაზრის მოთხოვნადობის დადასტურების, მიზანშეწონილობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
დასაბუთების დოკუმენტაცია წარედგინა დირექტორს, რომლის შემდგომ განხორციელდა პროგრამის ადაპტირება და დირექტორისთვის წარდგენა დასამტკიცებლად.
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც სრულ შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან.

3. დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ფართის, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემოს (ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები), ადამიანური რესურსის, ბიბლიოთეკის ფონდის, მატერიალური რესურსების მიხედვით, რომელიც გამოიყენება კოლეჯის მიზნების რეალიზაციისთვის და შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.
დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება” AC გარემოსთვის გათვალისწინებული აქვს ერთი საერთო სივრცე თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის - 54 კვ.მ ფართი, სადაც განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტისათვის სამუშაო ადგილი (მერხი და სკამი). B სასწავლო გარემოში არის 25 სამუშაო ადგილი 25 პროფესიულ სტუდენტზე.
პროფესიული სტუდენტებისათვის დამატებითი C გარემო უზრუნველყოფილია პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. ესენია: [redacted] შპს როდეო 52, [redacted]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
მოტორსი. გაფორმებული მემორანდუმები უვადოა, რომლებსაც დანართებად ახლავს მოდულის, სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია და ინვენტარი, აღჭურვილობის ჩამონათვალი.
პროგრამისთვის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ პრაქტიკული მოდულებია „საზეინკლო საქმის საფუძვლები“, „ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები“, ასევე კონცენტრაციის 5 მოდული, რომელთა განხორციელებასაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით უზრუნველყოფს პარტნიორი ორგანიზაციები. ვიზიტის პროცესში დადგინდა, საერთო პროფესიული მოდულის ,,ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები“ განხორციელებას კოლეჯი შეძლებს საკუთარი C გარემოს გამოყენებით, ხოლო საერთო სავალდებულო მოდული ,,საზეინკლო საქმის საფუძვლები“ განხორციელდება საკუთარ მფლობელობაში არსებული და პარტნიორი ორგანიზაციის, შპს „როდეო 52“-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. შპს „როდეო 52“-თან გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით ირკვევა, რომ შესაძლებელია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ საწარმო შეძლებს მიიღოს ამ პროგრამის ფარგლებში ერთდროულად 7 სტუდენტი, ხოლო ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 14 პროფესიული სტუდენტი. კონცენტრაციის მოდულის ,,საჭით მართვის მექანიზმის და გამაძლიერებელი სისტემების სერვისი“ განსახორციელებლად აუცილებელია ,,თვლების შეყრის კორექტირების აპარატი“ - ს არსებობა ან კოლეჯის ბალანსზე, ან პარტნიორ ორგანიზაციებში. ვიზიტისას დადგინდა, რომ მსგავსი მოწყობილობა მხოლოდ შპს ,,მათე მოტორსი“ - ს მფლობელობაშია, რომელსაც ფაქტობრივად შეუძლია მიიღოს ერთდროულად 6 სტუდენტი, ხოლო ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 12 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 12 პროფესიული სტუდენტით.

4. მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის საერთო პროფესიული, პროფესიული და კონცენტრაციის მოდულების სასწავლო რესურსი უმეტესად მოძველებული იყო. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ პროგრამას დამატებოდა ახალი სასწავლო რესურსები. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და პროგრამას დაამატა რამდენიმე ახალი სასწავლო რესურსი, რის გამოც დირექტორის ბრძანებით პროგრამაში შევიდა ცვლილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

რეკომენდირებულია დაწესებულებამ განაახლოს დარგის შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა.

5. საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N113/ნ ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „ფაზისის“ წესდება, რომლითაც ირკვევა, რომ დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესით ასევე ირკვევა, რომ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და იქვე განსაზღვრავს პროგრამის ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ბრძანების არარად ჩათვლის პირობას“. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ, რასაც ადასტურებს პროგრამის დამტკიცების აქტი - ბრძანება (N01/37 - 27.05.2020), თუმცა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში არარად ჩათვლის პირობას არ მოიცავდა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება იქნება უარყოფითი, მხოლოდ მაშინ გამოიცემა დირექტორის ბრძანება შესაბამისი პროგრამის გაუქმების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ რეგულაციაში აღნიშნული ჩანაწერი ამ ინფორმაციის მატარებელი არ იყო, დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესში დირექტორის 2020 წლის 6 ივლისის N01/75 ბრძანებით (დანართი 2) და დატოვა შემდეგი ჩანაწერი: „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით“.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. იგი თანხვედრაშია პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის დასახელება ასევე არაა შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის “ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი” (07119-პ) საფუძველზე, რომლის ერთ-ერთი კონცენტრაციაა „სავალი ნაწილის შეკეთება“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს და სასწავლო გეგმას. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა და სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტების მინიჭების პირობა.

პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- მოდულები „ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები“ და „ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის სერვისი“ საათების განაწილების სქემა დასაკორექტირებელი იყო ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული შესაბამისი მოდულის მიხედვით. დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და ცვლილება შეიტანა მოდულებში.
- სავალდებულო მოდულში „დამკვეთთან ურთიერთობა“ ამოსაღებია მოდულის ბოლოს არსებული შეუსაბამო ჩანაწერი:
  - „დანართი N2. სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსები;
  - დანართი N3. მოდულის განმახორციელებელი პირები (პროფესიული განათლების მასწავლებელი)“.

  სასურველია გასწორდეს პროგრამაში არსებული ტექნიკური უზუსტობა.
- ზოგიერთ მოდულში შეფასების მეთოდები და მტკიცებულებები შესაბამისობაში არაა ერთმანეთთან. შეფასების მეთოდად გათვალისწინებულია ზეპირი გამოკითხვა, ხოლო მტკიცებულებად - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება. შესაბამისად, სასურველია შეფასების მეთოდებსა და მტკიცებულებებში არსებული ტექნიკური უზუსტობები გასწორდეს.
- დაწესებულებას მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების პროგრამისთვის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს შპს მათე მოტორსთან, რომლის მიერ უზრუნველყოფილია პროგრამის კონცენტრაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

5 მოდულის განხორციელება, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა არ მოიცავს პარტნიორ ორგანიზაციათა ჩამონათვალში „შპს მათე მოტორსს“. შესაბამისად, სასურველია გასწორდეს პროგრამაში არსებული ტექნიკური უზუსტობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მისიით;
- სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით და შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცების და ცვლილების შეტანის შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესით;
- პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;
- წესდებით;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმით;
- ჩარჩო დოკუმენტით;
- სამსახურებრივი ბარათით;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი და პარტნიორი ორგანიზაციების საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსით. კოლეჯს აქვს 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი AC გარემო, ასევე B გარემო. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. ესენია: ი/მ ნიკა ხარშილაძე, ი/მ მამელუქი კინტირაია, ი/მ ნოდარი კინტირაია, ი/მ ნიკოლოზ ქანთარია, ი/მ ელგუჯა ტურძილაძე, შპს „როდეო 52“, შპს მათე მოტორსი. გაფორმებული მემორანდუმები უვადოა, რომლებსაც დანართებად ახლავს მოდულის, სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია და ინვენტარი, აღჭურვილობის ჩამონათვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამისთვის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ პრაქტიკული მოდულებია „საზეინკლო საქმის საფუძვლები“, „ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები“, ასევე კონცენტრაციის 5 მოდული, რომელთა განხორციელებასაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით უზრუნველყოფს პარტნიორი ორგანიზაციები. ვიზიტის პროცესში დადგინდა, საერთო პროფესიული მოდულის ,,ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები“ განხორციელებას კოლეჯი შეძლებს საკუთარი C გარემოს გამოყენებით, ხოლო მოდულის ,,საზეინკლო საქმის საფუძვლები“ საკუთარ მფლობელობაში არსებული და პარტნიორი ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. კერძოდ სწავლის შედეგებს: ,,მონიშვნის ოპერაციის შესრულება წინასწარ განსაზღვრულ სამუშაო ადგილას; ქლიბვის ოპერაციის შესრულება; ბურღვის ოპერაციის შესრულება“, კოლეჯი განახორციელებს საკუთარი ბაზის გამოყენებით, ხოლო შედეგებს „მოქლონვის საზეინკლო ოპერაციიის შესრულება; კუთხვილის მოჭრის ოპერაციის შესრულება“, პარტნიორი ორგანიზაციის, შპს „როდეო 52“-ის ბაზის გამოყენებით. აღნიშნულ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით ირკვევა, რომ შესაძლებელია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ კონკრეტულად ამ პროგრამის ფარგლებში საწარმო შეძლებს მიიღოს ერთდროულად 7 სტუდენტი, ხოლო ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 14 პროფესიული სტუდენტი. კონცენტრაციის მოდულის ,,საჭით მართვის მექანიზმის და გამაძლიერებელი სისტემების სერვისი“ განსახორციელებლად აუცილებელია ,,თვლების შეყრის კორექტირების აპარატი“ - ს არსებობა ან კოლეჯის ბალანსზე, ან პარტნიორ ორგანიზაციებში. ვიზიტისას დადგინდა, რომ მსგავსი მოწყობილობა მხოლოდ შპს ,,მათე მოტორსი“ - ს მფლობელობაშია, რომელსაც ფაქტობრივად შეუძლია მიიღოს ერთდროულად 6 სტუდენტი, ხოლო ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 12 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უნდა განისაზღვროს მაქსიმუმ 12 პროფესული სტუდენტით. პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა შესაძლებელია, თუ კოლეჯი უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე (შპს ,,როდეო“, შპს ,,მათე მოტორსი“) გატანილი სწავლის შედეგების განსახორციელებლად კიდევ ერთი ობიექტის მოძიებას, ან საკუთარ ბაზას განავითარებს. ამ უკანასკნელზე კოლეჯის მხრიდან მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

დარჩენილი 4 კონცენტრაციის მოდულის განხორციელებას კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამაში მითითებული სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით, რომელთა შესაძლებლობების გადამოწმება მოხდა ვიზიტისას და სრულ შესაბამისობაშია კორექტირებულ ზღვრულ რაოდენობასთან.

დაწესებულება ასევე გეგმას პროგრამის საკუთარ ბაზაზე განხორციელებისთვის, შესაბამისი სახელოსნოს მშენებლობას. ამ მიზნით, დაწესებულების მიერ, წარმოდგენილია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის გაგზავნილი წერილი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ კოლეჯისთვის საჭიროა ავტოსატრანსპორტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საშუალებებისა და სპეციალიზებულების სერვისის სახელოსნოების მშენებლობა/მოწყობა, რადგან კოლეჯი 2020 წლის შემოდგომის მიღებისთვის გეგმავს საგანმანათლებლო პროგრამების „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ დამატებას. სამინისტროდან მიღებული წერილით ირკვევა, რომ დაწყებულია სახელოსნოების პროექტირება და მშენებლობისა და აღჭურვილობის შეძენის თითქმის პარალელურ რეჟიმში წარმართვის მიზნით, სასურველი იქნებოდა კოლეჯის მიერ დაწყებულიყო შესაბამისი სახელოსნოების აღჭურვილობების ფასების მოკვლევა, რადგან დროულად მოესწროს პროგრამების ავტორიზაციები. ასევე, წარმოდგენილია ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შესახებ დოკუმენტი, რომლითაც ირკვევა, რომ წინადადებების მიღების დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 7 ივლისი (დანართი 3).

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, 11 - ზოგადი მოდულებისთვის, ხოლო 4 - პროფესიული მოდულებისთვის. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის და ყველა პედაგოგის პირადი საქმის შესწავლა. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებლები შეძლებენ გაუძღვენ, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულებს. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოდულის განმახორციელებელი პირის ჩანაცვლება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლით.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულების მიერ შემუშავებული და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (ISO 9001:2015), რომლის შემადგენელ დოკუმენტს წარმოადგენს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესი. აღნიშნული წესით ირკვევა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV და V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. განმახორციელებელთა კვალიფიკაცია დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეებით. დაწესებულება ასევე უტარებს ტრენინგებს განმახორციელებლებს კალენდარული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Erase Free

გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები: დიპლომები და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. მოდულების განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები.

პროფესიული მოდულის „ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები“ განმახორციელებლად წარმოდგენილია ინგლისური ენის სპეციალისტი, თუმცა სასურველია მოდულის განმახორციელებელმა ინგლისური ენის მოდული განახორციელოს პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირის/პროგრამის ხელმძღვანელის აქტიური კონსულტირებით. აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგებია: „ტექნიკური აბრევიატურებისა და სიმბოლოების განსხვავება; ბლოკ-სქემებისა და პრინციპული სქემების წაკითხვა-ანალიზი; ბლოკებსა და მიკროსქემებზე აბრევიატურებისა და სიმბოლოების ამოკითხვა-გაანალიზება; ტექნიკურ ლიტერატურაში მოცემული მასალების გააზრება“. გამომდინარე იქიდან, რომ დარგობრივი ტერმინოლოგია მუდმივად ცვალებადია, ემატება ახალი ტერმინები, რომელთა სწავლება პროფესიული სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია, სასურველია მოდული განხორციელდეს პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირის აქტიური კონსულტირებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დირექტორის ბრძანებით (დანართი 4) შიდა მხარდაჭერის ჯგუფში შემავალი პირები განსაზღვრული არიან პროგრამის ხელმძღვანელებად, რომლებსაც დავალებული აქვთ სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება და მეთოდოლოგიური კონსულტაციების გაწევა პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ხელმძღვანელთა ფუნქცია-მოვალეობებში ასევე შედის მოდულების ადაპტირება, კალენდარული გეგმების შედგენა, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება შესაბამისი პროგრამის მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კოორდინაციით. ზემოაღნიშნული ცვლილებით პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რაც ასევე დასტურდება პირადი საქმით.

სასურველია პროგრამის ხელმძღვანელობა განისაზღვრებოდეს არა რომელიმე ჯგუფის წევრობით, არამედ პროგრამით, როგორც ეს დაწესებულებას დუალური პროგრამების ხელმძღვანელთა შემთხვევაში აქვს. შესაბამისად, დაწესებულებას ექნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ერთიანი მიდგომა პროგრამების ხელმძღვანელთა დამტკიცების შესახებ, თუმცა ასევე, შესაძლებელია დირექტორის მიერ გამოიცემოდეს ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ და არ მტკიცდებოდეს ის პროგრამასთან ერთად.

სასურველია, კალენდარული გეგმების შემუშავება მოდულის განმახორციელებელი პირის ვალდებულება იყოს და არა პროგრამის ხელმძღვანელის.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო პროფესიული, პროფესიული და კონცენტრაციის მოდულების სასწავლო რესურსი უმეტესად მოძველებული იყო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ პროგრამას დამატებოდა ახალი სასწავლო რესურსები. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და პროგრამას დაამატა რამდენიმე ახალი სასწავლო რესურსი, რის გამოც დირექტორის ბრძანებით პროგრამაში შევიდა ცვლილება.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი. ასევე, ვებგვერდზე ატვირთულია ელექტრონული სახელმძღვანელოები, რომელთა ჩამოტვირთვაც შესაძლებელია. ექსპერტთა მიერ, ბიბლიოთეკაში შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები და ყველა აღმოჩნდა ადგილზე საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული.

6. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, რაც დასტურდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმით. საჭიროებიდან გამომდინარე, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისთვის იქმნება ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების გზით. ასევე, დაწესებულება განახორციელებს სასწავლო რესურსების ადაპტირებას, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ინდივიდუალური გეგმა შემდგომშიც ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებას.

7. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლითაც ირკვევა, რომ რენტაბელობის ზღვარი განისაზღვრება 7 პროფესიული სტუდენტით. ბიუჯეტში ასევე გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;
- წერილებითა და ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შესახებ დოკუმენტით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესით;
- დირექტორის ბრძანებით პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრის შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- გასაუბრებით;
- ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებით;
- ვებგვერდით www.phazisi.edu.ge ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმით;
- პროგრამის ბიუჯეტით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის კოლეჯში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

ა) კოლეჯის მიერ თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში" წარდგენა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ბ) კოლეჯში რეალიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება;

გ) პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ წარმართულ სასწავლო პროცესსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;

დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პირების, დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) კითხვარების შემუშავება და გამოკითხვის ორგანიზება ყოველწლიურად.

კოლეჯი ზრუნავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, სწავლობს უცხოურ პრაქტიკას და ხელს უწყობს მის დანერგვას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეებია: დამსაქმებლები, პედაგოგები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მნიშვნელოვანია მათი მოთხოვნებისა და საჭიროების კვლევა, რომელიც ჩატარდება გამოკითხვის მეთოდით და რომელსაც ჩაატარებს ხარისხის მართვის მენეჯერი. გამოკითხვები ჩატარდება იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც კოლეჯს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები (მემორანდუმები). კვლევის შედეგების საფუძველზე შექმნილი საერთო სურათი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს მისცემს შესაბამის მიმართულებებს უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, გაითვალისწინონ საბაზრო მოთხოვნები და პროფესიულ სტუდენტთა დამოკიდებულება აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიმართულებით.

2. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მიერ მოხდება პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად ცვლილებების განხორციელება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, კოლეჯში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების რეგულაციაში. კერძოდ: საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. დამსაქმებლიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება დაწესებულებას მისცემს საშუალებას დაადგინოს, თავად უნდა შეცვალოს პროგრამაში სწავლების მიდგომები, თუ უნდა მიმართოს ცენტრს ინიციატივით პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იმ შემთხვევაში თუ გაჩნდა ახალი უნარი ბაზარზე, რომელსაც მიმდინარე პროგრამა ვერ ფარავს). გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ აქვს უფლება შეიტანოს ცვლილება სწავლის შედეგებში, ასეთი ცვლილებების განხორციელებისათვის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ცენტრს. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულებამ აღმოაჩინა სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში, კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში ან შეფასების მიმართულებებში გარკვეული ტიპის უზუსტობები, სასურველია, მან მიმართოს ცენტრს დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით. აქედან გამომდინარე, სასურველია აღნიშნული საკითხები იკვეთებოდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ შემუშავებულია სასწავლო გეგმა. ასევე, შემუშავებულია ქართული ენის მოდულებისთვის სასწავლო გეგმა. ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 11 თვე, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 13 თვე. პროგრამა არ მოიცავს წინაპირობიან მოდულებს.

დაწესებულების მიერ სასწავლო გეგმის შემუშავებისას, სასურველი იქნებოდა კონცენტრაციის მოდულებზე სწავლა არა პროგრამის ბოლოსკენ, არამედ უფრო ადრეულ კვირებში იწყებოდეს. პროგრამის პროფესიული მოდულები ძირითადად დაფუძნებულია თეორიაზე, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი ჩადებულია კონცენტრაციის მოდულებში. შესაბამისად, სასურველია, პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ზრუნვა პროგრამის პარალელურად ხორციელდებოდეს.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გასაჩივრების წესი, რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება მაქსიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში. გასაჩივრების შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მიმართოს კოლეჯის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის მასწავლებლის მიერ, ან კომისიური წესით განხილვა/არ განხილვის თაობაზე. მასწავლებელი/კომისია 2 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და მიღებული გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს.

დაწესებულებას შემუშავებული და ვებგვერდზე www.phazisi.edu.ge განთავსებული აქვს „სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების წესი“, რომელიც ასევე მოიცავს გასაჩივრების პროცედურას და ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის/შედეგების ვერდადასტურების შემთხვევა გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო გეგმაში. კერძოდ, წინმსწრები მოდულის დასრულებისა და მომდევნო მოდულის დაწყების თარიღებს შორის 1 კვირაა, რათა ამ პერიოდის განმავლობაში პროფესიულმა სტუდენტმა/სტუდენტებმა შეძლონ წინმსწრები მოდულის შედეგის/შედეგების დადასტურება. გასაჩივრების შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/არ განხილვის თაობაზე. კომისია 2 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და საკმარისი/ავთენტური მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშოს განმეორებით შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. აღნიშნული შემთხვევის დადგომის დროს, ზემოაღნიშნული ვადების გათვალისწინებით, ერთკვირიან ინტერვალში განმეორებითი შეფასების ჩატარება შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არ მოიცავს წინაპირობიან მოდულებს, სასურველია რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, ეს ორი რეგულაცია შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, ან ერთი და იგივე პროცედურები/წესი ორ დოკუმენტში არ გაერთიანდეს და ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციებით არ იქნას წარმოდგენილი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს განმეორებითი შეფასების ჩატარება, ან/და გასაჩივრების პროცესის დასრულება დაწესებულების მიერ წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის განსაზღრული ინტერვალის გათვალისწინებით.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად მოახდენს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. კოლეჯში პერიოდულად განხორციელდება გამოკითხვები, რომელთა ანალიზის საფუძველზე მოხდება შემდგომი პროცესების დაგეგმვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება დაკორექტირებული ზღვრული რაოდენობის, ანუ 12 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში პრაქტიკის ობიექტებზე. მიუხედავად იმისა, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტებზე, დაწესებულება გეგმავს სასწავლო სახელოსნოს მშენებლობას, რისთვისაც გამოცხადებულია ტენდერი და წინადადებების წარდგენის დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 7 ივლისი. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების სერვისის სახელოსნოების მშენებლობის დასრულების შემდეგ, პრაქტიკის ობიექტებზე გატანილი სწავლის შედეგების მიღწევა ასევე შესაძლებელი იქნება კოლეჯის სახელოსნოში.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს, თუმცა დაწესებულების მიერ ინდივიდუალურ საჭიროებად თითქმის არ განიხილებოდა ის შემთხვევები, როდესაც სტუდენტის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გაეთვალისწინებინა ყველა ის შემთხვევა (მობილობა, სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენა და სხვა), როდესაც სტუდენტის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება. დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და დირექტორის ბრძანებით ცვლილება შეიტანა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმში (დანართი 5).

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით, რომელიც არის უვადო და დანართებად ახლავს მოდულებსა და სწავლის შედეგებზე ინფორმაცია და ინვენტარი/აღჭურვილობის ჩამონათვალი. აღნიშნულ დოკუმენტებში ასევე განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, შემსრულებლის მიერ პროფესიულ სტუდენტთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. ესენია: [redacted]
შპს „როდეო 52“, შპს მათე მოტორსი.

პროგრამისთვის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ პრაქტიკული მოდულებია „საზეინკლო საქმის საფუძვლები“, „ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები“, ასევე კონცენტრაციის 5 მოდული, რომელთა განხორციელებასაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით უზრუნველყოფს პარტნიორი ორგანიზაციები. ვიზიტის პროცესში დადგინდა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საერთო პროფესიული მოდულის ,,ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები“ განხორციელებას კოლეჯი შეძლებს საკუთარი C გარემოს გამოყენებით, ხოლო საერთო სავალდებულო მოდული ,,საზეინკლო საქმის საფუძვლები“ განხორციელდება საკუთარ მფლობელობაში არსებული და პარტნიორი ორგანიზაციის, შპს „როდეო 52“-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. შპს „როდეო 52“-თან გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით ირკვევა, რომ შესაძლებელია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ საწარმო შეძლებს მიიღოს ამ პროგრამის ფარგლებში ერთდროულად 7 სტუდენტი, ხოლო ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 14 პროფესიული სტუდენტი. კონცენტრაციის მოდულის ,,საჭით მართვის მექანიზმის და გამაძლიერებელი სისტემების სერვისი“ განსახორციელებლად აუცილებელია ,,თვლების შეყრის კორექტირების აპარატი“ - ს არსებობა ან კოლეჯის ბალანსზე, ან პარტნიორ ორგანიზაციებში. ვიზიტისას დადგინდა, რომ მსგავსი მოწყობილობა მხოლოდ შპს ,,მათე მოტორსი“ - ს მფლობელობაშია, რომელსაც ფაქტობრივად შეუძლია მიიღოს ერთდროულად 6 სტუდენტი, ხოლო ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 12 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 12 პროფესიული სტუდენტით.

6. სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულება უზრუნველყოს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით საკუთარ მფლობელობაში არსებულ ფართზე. კოლეჯი ხარისხის მენეჯმენტის სისტემას ახორციელებს ISO 9001-2015-ის მიხედვით, რომლის ფარგლებში შექმნილია კოლეჯის უსაფრთხოების პოლიტიკა. პროგრამის ფარგლებში კოლეჯში განსახორციელებელი მოდულები არ საჭიროებს სპეციფიური უსაფრთხოების წესის დაცვას. სპეციფიური უსაფრთხოების წესების დაცვას საჭიროებს კონცენტრაციის მოდულები, რომლებიც გატანილია პრაქტიკის ობიექტებზე, ხოლო პრაქტიკის ობიექტი (შემსრულებელი) იღებს ვალდებულებას უზრუნველყოფს პრაქტიკული სწავლებისთვის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო გეგმებით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმით;
- გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;
- სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების წესით;
- პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გასაჩივრების წესით;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკით;
- ვებგვერდით www.phazisi.edu.ge ;
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. დაწესებულების მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებას შესაფასებელ მოდულში მითითებული შეფასების მიმართულების შესაბამისად. შეფასების პროცესამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო პროცესის მენეჯერს უგზავნის/წარუდგენს შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც ახდენს ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს/პროგრამის ხელმძღვანელს. გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი ვერ უზრუნველყოფდა შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივი მხარის შემოწმებას, დირექტორის 6 ივლისის N01/75 ბრძანებით, ცვლილება შევიდა სწავლის შედეგების შეფასების წესში (დანართი 6), რომლითაც განისაზღვრა, რომ სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ახდენს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას პროგრამის ხელმძღვანელთან/მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან კოორდინირებით.

დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით იკვეთება შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებით სწავლის შედეგების დადასტურების შესაძლებლობა, თუმცა სასურველია განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს, რამდენჯერ ეძლევა პროფესიულ სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა და რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს (უკვე გამოყენებული თუ ახალი).

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შემდეგ, ვალიდაციას აკეთებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შედიან კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი. ვერიფიკაციის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც ახდენს ვერიფიკაციის პროცესის კორდინაციას და პასუხისმგებელია ვერიფიკაციის როგორც პროცესზე, ასევე შედეგზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის ცხრილი.

სასურველია ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულების რაოდენობა, არსებული რესურსი და სხვადასხვა რისკ-ფაქტორები; შემუშავდეს რისკების რეესტრი, რის საფუძველზეც მოხდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა შეიძლება იყოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ასევე, მნიშვნელოვანია რეგულაციით მკაფიოდ იკვეთებოდეს, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაზე პასუხისმგებელი პირები, არ მოახდენენ იმავე ინსტრუმენტებით შექმნილ მტკიცებულებათა ვერიფიკაციას, ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად. საბოლოოდ ვერიფიკაციის პროცესი სასურველია დასრულდეს ვერიფიკაციის დასკვნის შედგენითა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგით.

სასურველია რეგულაციაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა. ნაცვლად ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა, გაიწეროს ხარისხის მართვის მენეჯერი, რადგან შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის სტრუქტურასთან. ასევე, გაიწეროს, რომ ვერიფიკაციის ჯგუფი ახდენს მტკიცებულებათა ვერიფიკაციას და არა ვალიდაციას.

3. სწავლის შედეგების შეფასების წესით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები დაცულია და ინახება მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად. პროგრამის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები გროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, მის შენახვას და შემდგომში მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესით ირკვევა, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ კოლეჯი მიიღებს უკუკავშირს პროფესიული სტუდენტებისგან, პროფესიული მასწავლებლებისგან და პარტნიორი ორგანიზაციებიდან. ასევე, კოლეჯი ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და ახორციელებს კვლევას დასაქმებულთა შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესით;
- სწავლის შედეგების შეფასების წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების წესით;
- პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გასაჩივრების წესით;
- ინტერვიუირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	12 პროფესიული სტუდენტი (მოდულური) ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. #54
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება

პროგრამისთვის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ პრაქტიკული მოდულებია „საზეინკლო საქმის საფუძვლები“, „ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები“, ასევე კონცენტრაციის 5 მოდული, რომელთა განხორციელებასაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით უზრუნველყოფს პარტნიორი ორგანიზაციები. ვიზიტის პროცესში დადგინდა, საერთო პროფესიული მოდულის ,,ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები“ განხორციელებას კოლეჯი შეძლებს საკუთარი C გარემოს გამოყენებით, ხოლო მოდულის ,,საზეინკლო საქმის საფუძვლები“ საკუთარ მფლობელობაში არსებული და პარტნიორი ორგანიზაციის, შპს „როდეო 52“-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. კერძოდ შედეგებს: ,,მონიშვნის ოპერაციის შესრულება წინასწარ განსაზღვრულ სამუშაო ადგილას; ქლიბვის ოპერაციის შესრულება; ბურღვის ოპერაციის შესრულება“, კოლეჯი განახორციელებს საკუთარი ბაზის გამოყენებით, ხოლო შედეგებს „მოქლონვის საზეინკლო ოპერაციიის შესრულება; კუთხვილის მოჭრის ოპერაციის შესრულება“, პარტნიორი ორგანიზაციის ბაზის გამოყენებით. აღნიშნულ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით ირკვევა, რომ შესაძლებელია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში საწარმო შეძლებს მიიღოს ერთდროულად 7 სტუდენტი, ხოლო ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 14 პროფესიული სტუდენტი. კონცენტრაციის მოდულის ,,საჭით მართვის მექანიზმის და გამაძლიერებელი სისტემების სერვისი“ განსახორციელებლად აუცილებელია ,,თვლების შეყრის კორექტირების აპარატი“ - ს არსებობა ან კოლეჯის ბალანსზე, ან პარტნიორ ორგანიზაციებში. ვიზიტისას დადგინდა, რომ მსგავსი მოწყობილობა მხოლოდ შპს ,,მათე მოტორსი“ - ს მფლობელობაშია, რომელსაც ფაქტობრივად შეუძლია მიიღოს ერთდროულად 6 სტუდენტი, ხოლო ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 12 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უნდა განისაზღვროს მაქსიმუმ 12 პროფესული სტუდენტით. პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა შესაძლებელია, თუ კოლეჯი უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე (შპს ,,როდეო“, შპს ,,მათე მოტორსი“) გატანილი სწავლის შედეგების განსახორციელებლად კიდევ ერთი ობიექტის მოძიებას, ან საკუთარ ბაზას განავითარებს. ამ უკანასკნელზე კოლეჯის მხრიდან მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა. დარჩენილი 4 კონცენტრაციის მოდულების განხორციელებას კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამაში მითითებული დანარჩენი პარტნიორი ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით, რომელთა შესაძლებლობების გადამოწმება მოხდა ვიზიტისას და სრულ შესაბამისობაშია კორექტირებულ ზღვრულ რაოდენობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი
დანართი 3. წერილები და ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შესახებ დოკუმენტი
დანართი 4. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი
დანართი 5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი
დანართი 6. სწავლის შედეგების შეფასების წესი

23.07.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---